



საჩუქრეთა წიგნი





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

**საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტროს ხელმძღვანელობას**

საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019
წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდის
კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების აუდიტის შედეგების შესახებ

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის მინისტრს
ბატონ მიხეილ ჩხენკელს

ბატონო მიხეილ,

მოგესხნებათ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საფუძველზე გაიცა პირობითი დასკვნა.

აუდიტი ჩატარდა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების საპასუხოდ, წარმოგიდგენთ ჩვენს რეკომენდაციებს და ხელმძღვანელობისთვის მნიშვნელოვან სხვა ინფორმაციას.

პატივისცემით,

გენერალური აუდიტორი

ერეკლე მექვაბიშვილი

ტერმინები და შემოკლებები	2
1. რეკომენდაციები	3
2. შიდა კონტროლის სისტემა	10
3. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები (შეუსწორებელი უზუსტობები).....	13
საკონტაქტო ინფორმაცია	18

ტერმინები და შემოკლებები

სამინისტრო – საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

ცენტრალური აპარატი – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ცენტრალური აპარატი.

სსიპ – საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

ა(ა)იპ – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

შპს – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

სააგენტო – სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო.

აღრიცხვის ინსტრუქცია – საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ ინსტრუქცია.¹

ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1 – ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება (ბალანსი).

ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2 – ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება.

¹ კონსოლიდირებული ვერსია (13.06.2019 – 20.02.2020).

1. რეკომენდაციები

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით²

კონსოლიდაცია

ფაქტობრივი გარემოება ³	აღრიცხვის ინსტრუქციის⁴ მოთხოვნების შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაციის დროს სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული ერთეულების ნაშთები და მათ შორის განხორციელებული შემოსავლებისა და ხარჯების ოპერაციები ელიმინირდება (გამორიცხება). სამინისტროს მიერ წარდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2-ში არასრულად არის გამორიცხული/ელიმინირებული ჯგუფის შიგნით – კონტოლირებად ორგანიზაციებს შორის განხორციელებული ოპერაციებით წარმოქმნილი შემოსავლები და ხარჯები, კერძოდ:)/ ასევე, სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ-ების⁵ მიერ ჯგუფის შიგნით, უსასყიდლოდ სხვადასხვა დასახელების აქტივების – კომპიუტერების, სასკოლო ინვენტარის და სხვა მატერიალური მარაგების გადაცემა, სულ – 25,363,483 ლარის ოდენობით;)/ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრსა და უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებს შორის განხორციელებული შიდაჯგუფური ოპერაცია – ხარისხის ცენტრის მიერ აკრედიტაციისა და ავტორიზაციის ფარგლებში მიღებული შემოსავლები 44,500 ლარის ოდენობით, საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის წარმოადგენს ხარჯს. შედეგად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2-ში გაზრდილია შემოსავალი და ხარჯი – 25,407,983 ლარით.
მიზეზი	კონსოლიდაციის პროცესის შესაბამისი კონტროლის მექანიზმების არარსებობა.
გავლენა	ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2-ში გაზრდილია შემოსავალი და ხარჯი.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების უტყუარი და სამართლიანი წარდგენის უზრუნველსაყოფად, შემუშავდეს და დაინერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადებისას უზრუნველყოფს შიდაჯგუფური ოპერაციების შედარებას და ელიმინირებას (გამორიცხვას).

² წინა პერიოდის აუდიტების შედეგად გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების შედეგები ასახულია „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემაში“ (<https://aris.sao.ge/>).

³ ფაქტობრივი გარემოება – დარღვევა / ნაკლოვანება, რომელმაც გამოიწვია ან სავარაუდოდ გამოიწვევს ფინანსური ანგარიშგების უზუსტობას, გარდა (ISSAI 1450-ს შესაბამისად: „უზუსტობა – განსხვავება, რომელიც არსებობს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მუხლის თანხაში, კლასიფიკაციაში, წარდგენაში, ან შესაბამის ახსნა-განმარტებაში და იმ თანხას, კლასიფიკაციას, წარდგენას, ან შესაბამის ახსნა-განმარტებას შორის, რაც ამ მუხლისთვის მოითხოვება ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების შესაბამისად“).

⁴ ინსტრუქციის 39-ე მუხლის 30-ე პუნქტი.

⁵ სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო.

მოკლევადიანი მოთხოვნები

ფაქტობრივი გარემოება

სააგენტო ორგანიზაციებისათვის სხვადასხვა პროექტის განსახორციელებლად გადარიცხული თანხებით წარმოქმნილი დებიტორული დავალიანების ჩამოწერას და ხარჯად აღიარებას ახორციელებს დაწესებულებებისგან ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ. აუდიტის პროცესში ჯგუფს ვერ წარედგინა:

- 1) პროგრამა – „უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების“ ფარგლებში, უმაღლესი სასწავლებლებისთვის ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად გადარიცხული თანხებით წარმოქმნილი, 786,114 ლარის ოდენობის ჩამოწერილი დავალიანების მიხედვით ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- 2) პროგრამა – „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ ფარგლებში ჩამოწერილი 50,972 ლარის დებიტორული დავალიანების მიხედვით ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

გავლენა

ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში მოკლევადიანი მოთხოვნების საბოლოო ნაშთი არის შემცირებული, ფორმა N2-ში – ხარჯები გაზრდილი.

ფაქტობრივი გარემოება

კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახულია 51,480 ლარის ხანდაზმული დებიტორული დავალიანებები, რომელზეც არ განხორციელებულა დავალიანებების ამოღების პროცედურები და მათი ამოღების ალბათობა მაღიან მცირეა,⁶ კერძოდ:

- 1) ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯი „ჰორიზონტის“ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული 2006 წელს არაფინანსური აქტივების დანაკლისებით წარმოქმნილი 12,711 ლარის მოთხოვნის ამოღების მიზნით გატარებული ღონისძიებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი. ასევე მცირეა 2012 წლამდე სტუდენტების მიმართ სწავლის საფასურის გადაუხდელობით წარმოშობილი მოთხოვნები 11,000 ლარის ოდენობით ამოღების ალბათობა;
- 2) სსიპ - გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ბალანსზე სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივების მუხლით ასახული 2012 წელს ფართის გაქირავებით წარმოქმნილი 4,500 ლარის მოთხოვნები - მისაღები საიჯარო ქირა, რომლის ამოღების უზრუნველსაყოფად მუზეუმის მიერ არ არის გატარებული ზომები;
- 3) სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ბალანსზე ირიცხება 23,269 ლარის ხანდაზმული დებიტორული დავალიანება,⁷ რომელზეც არ განხორციელებულა დავალიანებების ამოღების პროცედურები.

⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ შესახებ ინსტრუქციის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი.

⁷ 2013 და 2014 წლებში წარმოქმნილი.

მიზეზი

დებიტორული დავალიანებების წარმოშობასა და მართვასთან დაკავშირებული კონტროლის მექანიზმების ნაკლოვანებები.

გავლენა

ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში გაზრდილია მოკლევადიანი აქტივების საბოლოო ნაშთი.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, განხორციელდეს ბალანსზე აღრიცხული მოთხოვნების და ვალდებულებების ინვენტარიზაცია, დებიტორ-კრედიტორებთან ურთიერთშეძარების აქტების გაფორმება. შეფასდეს მათი რეალობა, ხანდაზმულობა, ამოღების ალბათობა და ა.შ. მოცემული შეფასების საფუძველზე ხელმძღვანელობის მიერ მიღებულ იქნეს ამ სფეროს მარეგულირებელ ნორმატიულ მოთხოვნათა შესაბამისი გადაწყვეტილება.

**კომპონენტები, რომლებზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად**

სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, ა(ა)იპ – პროფესიული კოლეჯი „ჰორიზონტი“, სსიპ – გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი.

გრძელვადიანი აქტივები**ფაქტობრივი გარემოება**

ა(ა)იპ – პროფესიული კოლეჯი „ჰორიზონტის“ მიერ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის აღრიცხული საქართველოს მთავრობის განკარგულებით⁸ უსასყიდლო აღნაგობის უფლებით 45 წლის ვადით გადაცემული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები მდებარე ქ. ჩოხატაურში, გურამიშვილის ქუჩაზე⁹ – 8,489 კვ.მ და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გორაბერეჟოულში¹⁰ – 11,100 კვ.მ.

სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის სხვადასხვა დროს სარგებლობაში გადაცემული და რეგისტრირებული ქონება: მიწა – 334,891 კვ.მ და შენობა-ნაგებობები – 2,833 კვ. მ, არ არის შეფასებული და აღრიცხული ბალანსში შესაბამის ანგარიშებზე. ასევე ღირებულებითი შეფასების გარეშე აღრიცხული ბიოლოგიური აქტივები.¹¹

ცხრილი N1. ინფორმაცია ბალანსში აღურიცხავი გრძელვადიანი აქტივების შესახებ

ქონების მისამართი (ადგილმდებარეობა)	საკადასტრო კოდი	მიწის ფართობი კვ.მ	შენობის ფართობი კვ.მ
ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ყულევი	45.15.21.005	3,523	
ქ. გორი, ფერდობი ციხის სამხრეთით	66.45.17.033	400	
ქ. თბილისი, ხეხილის სანერგე მეურნეობა	81.21.04.669	40,000	
ქ.თბილისი, თბილისის ზღვის ტერიტორია, ხეხილის სანერგე მეურნეობა	81.21.01.700	1,500	
ბორჯომის რ-ნი, დაბა ბაკურიანი	64.26.06.111	275,587	

⁸ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 26 ივნისის N1484 განკარგულება.

⁹ საკადასტრო კოდი: 28.01.23.313.

¹⁰ საკადასტრო კოდი: 28.11.22.331.

¹¹ 8 ცხენი.

ქ. თბილისი, წერეთლის გას. N1	01.14.07.010.023	3,267
ქ. ჭიათურა, 9 აპრილის ქ. N1	38.10.34.016	499
ქ. თბილისი, ბოტანიკურის N1	01.18.02.001.004	9,160
ადიგენის რ-ნი, დაბა აბასთუმანი, მთა ყანობილი	61.11.21.025	955
ვანის მუნიციპალიტეტი, სოფ. ციხესულორი	31.16.27.020	186
წალენჯიხის რ-ნი, სოფ. ჩქვარელი	47.10.35.001	109
ქ. თბილისი, ძველი ვეძისის ტერიტორიაზე მდებარე შენობა-ნაგებობა	01.72.14.015.007	110
დედოფლისწყარო, რუსთაველის ქ. N143	52.08.37.066	858
ქ. თბილისი, ჭავჭავაძის 32	01.14.11.007.011	21.35
ქ. თბილისი, ჭავჭავაძის 32	01.14.11.007.011	29.72
დედოფლისწყარო, რუსთაველის ქ. N143	52.08.37.066	403
დედოფლისწყარო, რუსთაველის ქ. N143	52.08.37.066	363
ბორჯომის რ-ნი, დაბა ბაკურიანი	64.26.06.111	1.42
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფ. გრიგოლეთი	27.15.42.664	11.26
ადიგენის რ-ნი, დაბა აბასთუმანი, მთა ყანობილი	61.11.21.106	123
ქ. ონი, ბააზოვის ქ. N163	88.18.28.003	18.36
ქ. მარტვილი, გორკის ქ. N18	41.09.35.002	18.36
ადიგენის რ-ნი, დაბა აბასთუმანი, მთა ყანობილი	61.11.21.106	19.3
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფ. გრიგოლეთი	27.15.42.664	19.52
ადიგენის რ-ნი, დაბა აბასთუმანი, მთა ყანობილი	61.11.21.106	25.3
ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის ქ. N 3/5	01.14.07.010.023	29.71
ბორჯომის რ-ნი, დაბა ბაკურიანი	64.26.06.111	35.26
ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის ქ. N 3/5	01.14.07.010.023	39.6
დედოფლისწყარო, რუსთაველის ქ. N143	52.08.37.066	42
ქ. თბილისი, ბოტანიკურის N1	01.18.02.001.004	43.94
ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის ქ. N 3/5	01.14.07.010.023	45.98
ქ. თბილისი, ბოტანიკურის N1	01.18.02.001.004	5.06
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფ. როდიონოვკა	65.02.33.045	82.6
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფ. როდიონოვკა	65.02.33.045	90.9
ბორჯომის რ-ნი, დაბა ბაკურიანი	64.26.06.111	95.41
ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის ქ. N 3/5	01.14.07.010.023	6.39
სულ:	334,891	2,833

არ არის შეფასებული და აღრიცხული სსიპ – საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი – ხელოვნების სასახლის შენობა,¹² რომელიც სსიპ-ს გადაეცა 1988 წელს და 2007 წლიდან მიენიჭა

¹² თბილისი, კარგარეთელის ქუჩა N6, საკადასტრო კოდი: 01.13.08.003.051.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი და სსიპ – დადიანის სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის შენობა.¹³ ეკონომიკის სამინისტრომ 2017 წელს დაარეგისტრირა საკუთრების უფლება მოცემულ ქონებასა და მიწაზე და არსებობის ვადით გადაეცა მუზეუმს. აღნიშნულ შენობას 2015 წლიდან მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.¹⁴ იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ერთეულების მფლობელობაში არსებული მემკვიდრეობითი აქტივებისათვის დამახასიათებელია მათი მემკვიდრეობითი ფასეულობისაგან განსხვავებული მომსახურების პოტენციალი, ასეთი ფასეულობები განიხილება ძირითად აქტივებად და მათი აღიარება და შეფასება ძირითადი აქტივების ანალოგიურად ხორციელდება.

სსიპ – საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი – ხელოვნების სასახლის ბალანსში არ არის გამიჯნული შენობა-ნაგებობებისა და მიწის ნაკვეთის ღირებულებები და აღრიცხულია არასაცხოვრებელი შენობების¹⁵ ანგარიშზე 412 კვ.მ შენობა და მასზე დამაგრებული 566 კვ.მ მიწის ნაკვეთი, საერთო ღირებულებით – 1,227,554 ლარის ოდენობით; შესაბამისად, ცვეთა შენობა-ნაგებობებთან ერთად ერიცხება არაწარმოებულ აქტივს – მიწას, რაც შეუსაბამოა აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნებთან.¹⁶

სსიპ – ფოთის ვალერიან გუნიათა სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრის ბალანსზე ასახულია 2018 წლიდან¹⁷ ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის მერიისგან უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, უვადოდ გადაცემული ქ.ფოთში, შოთა რუსთაველის რკალის N28-ში მდებარე 5,143 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული თეატრის შენობა.¹⁸ 2019 წელს მესაკუთრემ, ფოთის მუნიციპალიტეტის მერიამ დაიწყო შენობაზე კაპიტალური სარემონტო სამუშაოების წარმოება. წლის ბოლოსათვის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტებისა და ინსპექტირების ანგარიშების მიხედვით განხორციელდა 521,297 ლარის სამუშაოები.¹⁹ გაწეული სამუშაოები არ აისახა თეატრის მიერ წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში, კერძოდ, არ განხორციელდა სამუშაოების კაპიტალიზაცია – შენობის ღირებულების ზრდა.²⁰ ამასთანავე, ცვეთის ხელახალი გადაანგარიშებით გამოვლინდა, რომ გასულ წლებში შენობაზე ცვეთის დარიცხვა ნაცვლად წრფივი მეთოდისა,²¹ ხორციელდებოდა შემცირებადი ნაშთის მეთოდის საფუძველზე.

სსიპ – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს არ განუხორციელებია „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში 1,483,840 ლარის ღირებულების შესრულებული სამუშაოების გადაცემა სსიპ – თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის

¹³ ზუგდიდი, ზ. გამსახურდიას გამზირი N43, საკადასტრო კოდები: 43.31.49.425 და 43.31.49.424.

¹⁴ ინსტრუქციის 150-ე მუხლის მე-15 პუნქტი.

¹⁵ თბილისი, შალვა დადიანის ქუჩა N28, საკადასტრო კოდი: 01.18.03.040.032.

¹⁶ ინსტრუქციის 152-ე მუხლის 30-ე პუნქტი.

¹⁷ 2018 წლის 6 მარტის N1 თხოვნის ხელშეკრულება.

¹⁸ საკადასტრო კოდი: 04.02.08.087.

¹⁹ ბეტონისა და ლამინირებული იატაკის, მეტლახის ფილების დემონტაჟი-მოწყობა, კედლისა და ჭერის დემონტაჟი, შეღებვა-შელესვა, სახურავის თბოიზოლაციის, მიწის სახურავის დემონტაჟი და ახლის მოწყობა, შენობის ფასადის შეღებვა და ა.შ.

²⁰ ინსტრუქციის 151-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

²¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 20020 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“, მუხლი მე-3.

ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრისათვის მის ბალანსზე აღრიცხული ძირითადი აქტივების ღირებულების გაზრდის (კაპიტალიზაციის) მიზნით. შედეგად, კონსოლიდირებული ბალანსის ძირითადი აქტივების საბოლოო ნაშთი შემცირებულია 1,483,840 ლარის ოდენობით.

ფაქტობრივი გარემოება

სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2019 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციით გამოვლინდა ჩამოსაწერი და შემდგომი ხმარებისათვის გამოუყენებელი 39,113 ლარის ნარჩენი ღირებულების აქტივები, რომლებიც აღრიცხულია ბალანსზე. აღნიშნული ქონებიდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება არ არის მოსალოდნელი და არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.²²

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ სსიპ – თელავის ისტორიული მუზეუმის ახალი შენობის მშენებლობა განხორციელდა ორ ფაზად, 2013 წელს I ფაზა – 4,468,341 ლარის, 2017 წლის ბოლოს II ფაზა – 6,438,037 ლარის ოდენობით. მუზეუმის მიერ შესაბამის საბალანსო ანგარიშზე აქტივი ნაცვლად 2017 წლისა, აღიარებულ იქნა და ცვეთის დარიცხვა დაიწყო 2018 წელს. აქედან გამომდინარე, ბალანსში ძირითადი აქტივების - არასაცხოვრებელი შენობების ანგარიშის საწყისი და საბოლოო ნაშთები გაზრდილია 109,064 ლარით; ასევე, იმავე თანხით გაზრდილია კაპიტალის ანგარიშის ნაშთები.

მიზეზი

ძირითადი აქტივების აღრიცხვასთან დაკავშირებული ხარვეზები, ასევე მათ მართვასთან, მათ შორის, შეფასებასა და გადაცემასთან დაკავშირებული კონტროლის მექანიზმების ნაკლოვანებები.

გავლენა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში ძირითადი აქტივების საბოლოო ნაშთის ზრდა/შემცირება.

რეკომენდაცია

- 1) ფინანსური ანგარიშგების საიმედოობის უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდეს ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული აქტივების შეფასება და აღრიცხვა;
- 2) ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის საფუძველზე განხორციელდეს გაწეული ხარჯების შეფასება (კაპიტალური, მიმდინარე) და მათი სწორი სააღრიცხვო კლასიფიკაცია სამუშაოების მიმდებთან;
- 3) შესაბამისი შეფასების საფუძველზე იმ ობიექტების მიხედვით, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ძირითად აქტივად აღიარების კრიტერიუმებს, დაკორექტირდეს აქტივების ნაშთი.

კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

ა(ა)იპ – პროფესიული კოლეჯი „ჰორიზონტი“, სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ – საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი – ხელოვნების სასახლე, სსიპ – დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი, სსიპ – ფოთის ვალერიან გუნია სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრი, სსიპ –

²² ინსტრუქციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტო, სსიპ – თელავის ისტორიული მუზეუმი.

ფაქტობრივი გარემოება

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია გასულ წლებში²³ ლიკვიდირებული პროფესიული სასწავლებლებისა და კოლეჯების, სამეცნიერო ცენტრებისა და ინსტიტუტების ბალანსებზე რიცხული აქტივების ნაშთები სხვადასხვა საბალანსო ანგარიშების მიხედვით, მათ შორის: არასაცხოვრებელი შენობები და მიწა, სულ - **908,432 ლარის** ოდენობით. მიღებული განმარტებით, სამინისტრო არ ფლობს აღნიშნული აქტივების ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციას და გასული წლების განმავლობაში არც ინვენტარიზაციაა ჩატარებული.

მიზეზი

არასათანადო კონტროლის მექანიზმების არსებობა.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივების შესაბამისი მუხლების არასამართლიანი წარდგენა.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების საიმედოობის უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდეს ზემოაღნიშნული აქტივების ინვენტარიზაცია, აქტივად აღიარების კრიტერიუმების შეფასება და შესაბამისი აღრიცხვა.

კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

სამინისტროს ცენტრალური აპარატი.

სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ფაქტობრივი გარემოება

სამინისტროში ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ ინსტრუქციის მოთხოვნების შესასრულებლად, მისი საქმიანობისა და ორგანიზაციული სტრუქტურის სირთულის გათვალისწინებით არ არის შემუშავებული და დამტკიცებული²⁴ ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკა – ერთეულის მიერ ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს გამოყენებული გარკვეული პრინციპების, საფუძვლების, დაშვებების, წესებისა და პრაქტიკული მეთოდების ერთობლიობა.²⁵

აღნიშნული პოლიტიკა შესაძლებელია მოიცავდეს ინსტრუქციას შემდეგი საკითხების აღრიცხვის შესახებ: უიმედო ვალები, მოძველებული მატერიალური ფასეულობები, ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების აღრიცხვის წესების და სხვ. აქედან გამომდინარე, სააღრიცხვო პოლიტიკა შეიცავს და უზრუნველყოფს შესაბამის და საიმედო ინფორმაციას იმ ოპერაციების, სხვა მოვლენების ან მდგომარეობის შესახებ, რომლებიც ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში.²⁶ სამინისტროს ახსნა-განმარტებითი შენიშვნებში არ აქვს ასახული:

²³ 2002-2010 წლამდე პერიოდში.

²⁴ ინსტრუქციის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტი.

²⁵ ინსტრუქციის მე-11 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი.

²⁶ ინსტრუქციის მე-12 მუხლი.

- ს) ინსტრუქციის²⁷ შესაბამისად დადგენილი ინფორმაცია, რომელიც ეხება უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას;
- ს) სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი/შიდა წარმოშობის არამატერიალური აქტივების – სისტემების/მონაცემთა ბაზების შესახებ ინფორმაცია არ არის გამჟღავნებული ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.²⁸

ცხრილი N2. საკუთარი ძალებით შექმნილი არამატერიალური აქტივები

ზოგადი განათლების მიმართულებით არსებული სისტემები	
1	გრიფირების ელექტრონული სისტემა
2	ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა - eSchool
პროფესიული განათლების მიმართულებით არსებული სისტემები	
3	პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
4	პროფესიული განათლების მიღების მსურველთა სარეგისტრაციო ბაზა - მართვის სისტემის სპეციალური პროგრამა
5	პროფესიული მომზადება-გადამზადების ელექტრონული სისტემა
უმაღლესი განათლების მიმართულებით არსებული სისტემა	
6	უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
7	მობილობის ელექტრონული პორტალი
8	ხარისხის მართვის სპეციალური პროგრამა - QMS

მიზეზი

არ არის შემუშავებული და დამტკიცებული წარდგენის საფუძვლების მოთხოვნებთან შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა.

გაგლენა

ფინანსური ანგარიშგების მომხარებლებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამოტოვება ფინანსურ ანგარიშგებასა და ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად და უტყუარად წარდგენის მიზნით, შემუშავებული და დამტკიცებულ იქნეს დეტალიზებული, ორგანიზაცი(ებ)ის ძირითადი ოპერაციების ამსახველი სააღრიცხვო პოლიტიკა, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორი ინფორმაციის ასახვასთან დაკავშირებული რისკის შემცირებას და მომხმარებლისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამჟღავნებას.

კომპონენტი, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

სამინისტროს ცენტრალური აპარატი და დაქვემდებარებული უწყებები.

2. შიდა კონტროლის სისტემა

ინვენტარიზაცია

ინვენტარიზაცია არის კონტროლის მექანიზმი, რომლის მიზანია დანაკლისის, ზედმეტობისა და დაზიანებული ან/და გამოუსადეგარი ქონების იდენტიფიცირება, ისეთი აქტივების გამოვლენა, რომელთაც ორგანიზაციისათვის არ მოაქვს ეკონომიკური სარგებელი, ბალანსზე რიცხული მოთხოვნებისა და ვალდებულებების რეალურობის შემოწმება. შესაბამისად,

²⁷ ინსტრუქციის 52-ე მუხლი.

²⁸ ინსტრუქციის 161-ე მუხლი.

ინვენტარიზაციის ჩატარება უზრუნველყოფს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში (ბალანსში) ასახული ყველა მუხლის არსებობასა და სისრულეზე რწმუნების მიღებას. ინვენტარიზაცია ასევე ზრდის აქტივების ეფექტიანად მართვის შესაძლებლობას.

2019 წელს არ ჩატარებულა აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია სააგენტოსა და სსიპ – თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხურ სახელმწიფო დრამატულ თეატრში. ინვენტარიზაცია ჩატარდა ნაწილობრივ:

- სსიპ – ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო თეატრში – მხოლოდ სატრანსპორტო საშუალებების და სხვა მანქანა-დანადგარების და ინვენტარის საბალანსო ანგარიშების მიხედვით;
- სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში – მხოლოდ ძირითადი და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების, მატერიალური მარაგების გარკვეული რაოდენობის (საწყობის, წიგნის მაღაზიის და ა.შ.) შესაბამისად.

რეკომენდაცია

აქტივების დაცულობის უზრუნველსაყოფად, ასევე ფინანსურ ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის და კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების მიზნით, მნიშვნელოვანია, რომ სამინისტროს ყველა დაქვემდებარებულმა უწყებამ ყოველწლიურად შექმნას საინვენტარიზაციო კომისიები და განახორციელოს:

- სასაქონლო-მატერიალური მარაგების და გრძელვადიანი აქტივების ფაქტობრივი აღწერა (3 წელიწადში ერთხელ – უძრავი ქონების);
- ზედმეტობაზე/დანაკლისებზე შემდგომი რეაგირება და კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება;
- დებიტორებთან/კრედიტორებთან ურთიერთშეძარების აქტების გაფორმება;
- ხანდაზმული დავალიანებების ბალანსგარეშე საცნობარო მუხლში გადატანის საკითხის გადაწყვეტა.

კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, სსიპ – თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური სახელმწიფო დრამატული თეატრი, სსიპ – ფოთის ვალერიან გუნია სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრი, სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

სახელფასო დანამატები

სსიპ – საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი – ხელოვნების სასახლისა და სსიპ – დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის მიერ საანგარიშო წელს თანამშრომლებზე გაცემული სულ – 53,485 ლარის სახელფასო დანამატის მიხედვით ვერ იქნა წარმოდგენილი თანამშრომელთა მიერ ზეგანაკვეთურად სამუშაოების შესრულების და დამატებითი ფუნქციური დატვირთვის დამადასტურებელი დოკუმენტები.

ცხრილი N3. გაცემული დანამატი ორგანიზაციების მიხედვით

N	დაწესებულება	დასახელება	დანამატის ოდენობა
1	ხელოვნების სასახლე	საგანმანათლებლო პროექტი	29,315
2	ხელოვნების სასახლე	სხვა პროექტის ფარგლებში	6,527
3	დადიანების მუზეუმი	-	17,643
სულ:			53,485

რეკომენდაცია

შემუშავდეს და დაინერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სახელფასო დანამატების გაცემის მატერიალური კანონიერების დამადასტურებელი მტკიცებულებების შექმნას.

კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

სსიპ – საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი – ხელოვნების სასახლე, სსიპ – დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი.

3. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები (შეუსწორებელი უზუსტობები)

ფინანსური ოპერაციების არასწორი კლასიფიკაცია

სსიპ – გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ფინანსურ ანგარიშგებაში საინვესტიციო ქონებად არ არის კლასიფიცირებული შემოსავლის მიღების მიზნით გასულ წლებში იჯარით გაცემული²⁹ 590,187 ლარის საბალანსო ღირებულების შენობა (425 კვ.მ საერთო ფართი) და 273 კვ.მ მიწის ნაკვეთი – ღირებულებით 9,828 ლარი. მოცემული აქტივები ბალანსში ასახულია არაწარმოებული აქტივების – მიწის საბალანსო ანგარიშსა და ძირითადი აქტივების „არასაცხოვრებელი შენობების“ ანგარიშებზე.

შედეგად, კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგების ფორმა N1-ში გაზრდილად არის წარმოდგენილი „ძირითადი აქტივების“ საბოლოო ნაშთი 690,940 ლარით (არასწორად დარიცხული ცვეთის კორექტირების გათვალისწინებით), „არაწარმოებული აქტივების“ – 9,828 ლარით, ხოლო „საინვესტიციო ქონების“ საბალანსო ანგარიშის საბოლოო ნაშთი შემცირებულია 600,015 ლარის ოდენობით.

სააგენტო შემდგომში სხვა ერთეულებზე გადაცემის მიზნით შეძენილ სხვადასხვა დასახელების საქონელს, მათ შორის, სასკოლო ინვენტარსა და ტექნიკას, ნაცვლად მატერიალური მარაგებისა,³⁰ აღრიცხავს გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების ანგარიშზე.³¹

შედეგად, წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში მოკლევადიანი არაფინანსური აქტივები – მატერიალური მარაგების საბალანსო ანგარიშზე რეკლასიფიკაციას ექვემდებარება საწყისი ნაშთის მიხედვით 2,873,268 ლარის, ხოლო საბოლოო – 3,415,549 ლარის აქტივები.

სააგენტო პროგრამის – „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა“ – ფარგლებში ახორციელებს სახელმძღვანელოების შეძენას და მათ ტრანსპორტირებას საგანმანათლებლო დაწესებულებამდე. ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2-ში 431,736 ლარის სახელმძღვანელოების ტრანსპორტირებაზე გაწეული ხარჯი, ნაცვლად „გრანტების“ მუხლისა (რადგან ტრანსპორტირების ხარჯი ემატება სახელმძღვანელოების თვითღირებულებას და მათი გადაცემისას/ჩამოწერისას აღიარდება გრანტის სახით) ასახულია „საქონელი და მომსახურების“ მუხლში.

კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა

სსიპ – გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო.

ხარჯები

სააგენტო საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის/სკოლებისთვის მიზნობრივი დაფინანსების ფარგლებში სარემონტო სამუშაოებისათვის გადარიცხული თანხების აღიარებას ახორციელებს მოკლევადიანი მოთხოვნების ანგარიშზე, რომლებიც ჩამოიწერება სკოლების მიერ წარმოდგენილი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე.

²⁹ ინსტრუქციის 150-ე მუხლის მე-8 პუნქტი, 176-ე მუხლი.

³⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 აპრილის N99 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია“.

³¹ ინსტრუქციის 150-ე მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტები.

2019 წელს სააგენტომ 820,319 ლარის მოთხოვნები ჩამოწერა და ხარჯად აღიარა გასული – 2017 და 2018 წლების საანგარიშგებო პერიოდების დოკუმენტაციის საფუძველზე, რითაც მოხდა ხარჯების მიკუთვნება არასწორ საანგარიშგებო პერიოდზე.³²

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2-ში 820,319 ლარით გაზრდილია მიმდინარე „გრანტების“ მუხლით წარდგენილი ხარჯები.

სააგენტომ 2019 წლის იანვარში შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე ხარჯად აღიარა 2018 წლის დეკემბერში პროგრამა – „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ ფარგლებში გაწეული მომსახურებით და სასკოლო ავეჯის მიწოდებით წარმოშობილი დებიტორული დავალიანებების შემცირება, სულ – 2,055,712 ლარის ოდენობით. *უზუსტობის გავლენით, ბალანსის დანართ ფორმა N2-ში „საქონელი და მომსახურების“ მუხლით წარდგენილი ხარჯები გაზრდილია 2,055,712 ლარით. ამავდროულად ფორმა N1-ში გაზრდილია მოკლევადიანი მოთხოვნების საწყისი ნაშთი.*

სსიპ - თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური სახელმწიფო დრამატული თეატრის მიერ 2019 წელს ჩამოიწერა და ხარჯად აღიარდა 26,975 ლარის გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები, რომელთა შესახებაც ვერ იქნა წარმოდგენილი ექსპლუატაციაში გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებების ფარგლებში ზედმეტად არის ანაზღაურებული³³ 2,602 ლარი; კერძოდ, **სსიპ - თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური სახელმწიფო დრამატული თეატრის** მიერ – 2,018 ლარი და **სსიპ – ფოთის ვალერიან გუნიათაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრის** მიერ – 584 ლარი.

სსიპ - საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრის მიერ ხარჯების „საქონელი და მომსახურების“ მუხლში არის ასახული 2018 წელს განხორციელებული 31,142 ლარის ოდენობით გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების ჩამოწერის ოპერაცია, რის შედეგად ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2-ში გაზრდილია აღნიშნული მუხლის ხარჯები.

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ 2019 წელს **სსიპ – საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურისთვის** უსასყიდლოდ გადაცემული არასაცხოვრებელი საოფისე ფართი 12,946 ლარის საბალანსო³⁴ ღირებულებით, არ არის აღიარებული ხარჯად.

სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, **სსიპ – თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური სახელმწიფო დრამატული თეატრი**, და **სსიპ – ფოთის ვალერიან გუნიათაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრი**, **სსიპ – საქართველოს**

კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა

³² ინსტრუქციის მე-9 მუხლის მე-11 პუნქტი.

³³ არ დასტურდება მივლინების მიზნობრიობა, ზედმეტად ანაზღაურებულია დღეები.

³⁴ 01.01.2019 წ. მდგომარეობით.

ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი, სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

გრძელვადიანი აქტივები

2019 წელს სააგენტომ დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების საბალანსო ანგარიშიდან ჩამოწერა პროგრამის – „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება“ – ფარგლებში განხორციელებული თბილისის N2 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები 4,267,370 ლარის ოდენობით. სამუშაოების გადაცემაზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტებით, შესრულებული სამუშაოების მოცულობამ შეადგინა 4,062,719 ლარი.

სააგენტოს მიერ საჯარო სკოლებზე შემდგომი გადაცემის მიზნით შესყიდულ იქნა 12,500 ცალი პორტაბელური კომპიუტერი (ბუკი),³⁵ ერთეულის ღირებულება – 509.90 ლარი. მოცემული რაოდენობიდან, წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტების შესაბამისად გაიცა 9,470 ერთეული; აქედან, საგანმანათლებლო რესურსცენტრებსა და საჯარო სკოლებზე – 9,469 ერთეული, ხოლო ერთი ერთეული გადაეცა სამინისტროს აპარატს.³⁶ სააგენტომ ნაცვლად აღნიშნული რაოდენობისა, ხარჯებში ჩამოწერა შესყიდული 12,500 ერთეული პორტაბელური კომპიუტერის სრული ღირებულება.

სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2011 წელს განხორციელდა თბილისში, გიორგი წერეთლის ქ. N3-ში მდებარე ყოფილი აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის შენობის³⁷ გადაფასება. შენობის ცვეთის გაანგარიშებისას არ იყო გათვალისწინებული აღნიშნული გადაფასება, რის შედეგადაც ფინანსურ ანგარიშგებაში შენობის საწყისი ნაშთი გაზრდილია 479,016 ლარით, საბოლოო – 882,299 ლარით.

არასწორად განხორციელდა გასულ წლებში დარიცხული ცვეთის სააღრიცხვო კორექტირება, რის შედეგად ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2-ში „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლით წარდგენილი ხარჯი შემცირებულია სულ 536,371 ლარის ოდენობით, მათ შორის, საანგარიშო წლის ცვეთის არასწორად დაანგარიშებით – 46,763 ლარი.³⁸

სსიპ – საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრის ბალანსში აქტივების ნაშთი გაზრდილია 18,352 ლარით; კერძოდ, 2019 წელს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული ქონების შეფასების დასკვნების შედეგის სააღრიცხვო რეგისტრებში ასახვის შემდეგ, ბალანსში დუბლირებულად იქნა აღიცხული ჯამში – 16,237 ლარის აქტივები; ცენტრის მიერ ჩამოწერას ექვემდებარება 2019 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი შემდგომი ხმარებისათვის გამოუყენებელი 2,115 ლარის ძირითადი აქტივები.

სსიპ – კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ექვემდებარება ჩამოწერას ინვენტარიზაციის შედეგების შესაბამისად გამოუსადეგარი აქტივები ჯამში – 3,580 ლარის ოდენობით.

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბალანსში წლის ბოლოს 13,376 ლარის ოდენობით გაზრდილია არამატერიალური ძირითადი

³⁵ 2019 წლის 1 აპრილის N320212/05/50 ხელშეკრულება.

³⁶ 2019 წლის 30 აგვისტოს N74 ბრძანება.

³⁷ საკადასტრო კოდი: 01.14.07.010.007.

³⁸ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის შენობის გარდა.

კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა

აქტივების ანგარიშის ნაშთი; პასუხიმგებელი პირის განმარტებით, გასულ, 2011-2013 წლებში შეძენილი აღნიშნული არამატერიალური აქტივები – სარეკლამო და ვიდეოფილმები და ა.შ. აღარ გამოიყენება.

სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ – საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი, სსიპ – კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

საცნობარო მუხლები

სასამართლო განხილვის სტადიაში მყოფი საქმეების მიხედვით მოთხოვნები – 1,416,787 ლარის და ვალდებულებები – 68,000 ლარის ოდენობით, არ არის ასახული შესაბამის საცნობარო მუხლებში³⁹ – „პირობითი აქტივები“ და „პირობითი ვალდებულებები“.

ცხრილი N4. აღურიცხავი პირობითი აქტივები და ვალდებულებები ორგანიზაციების მიხედვით

დასახელება	პირობითი აქტივი	პირობითი ვალდებულება
სამინისტროს აპარატი	568,817	68,000
სააგენტო	847,970	0
სულ:	1,416,787	68,000

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დანართი N1-ის მიხედვით,⁴⁰ საცნობარო მუხლის **ვადაგადაცილებული დავალიანებების 09** ანგარიშზე წარდგენილი 134,280,285 ლარი მოიცავს 2019 წელს წარმოქმნილ დავალიანებებს – **76,048,638 ლარის** ოდენობით, საიდანაც მნიშვნელოვანი ნაწილი შეადგენს ორგანიზაციების მიერ წინასწარ მიღებული თანხებით წარმოქმნილ ვალდებულებებს. აღნიშნულ მუხლში კი აღირიცხება საანგარიშო წლის წინა პერიოდებში წარმოქმნილი და დაუფარავი ყველა სახის კრედიტორული დავალიანება.⁴¹

სსიპ – კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ საცნობარო მუხლში არ არის ასახული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი აქტივების დანაკლისები.⁴²

ა(ა)იპ – პროფესიული კოლეჯი „ჰორიზონტის“ მიერ ფინანსური ანგარიშგების დანართ N1-ში წლის ბოლოს წარდგენილი საცნობარო მუხლის – „ამორტიზებული ძირითადი აქტივების“ N08 ანგარიშის ნაშთი შეცდომის გამო შემცირებულია 20,529 ლარით.

კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა

სამინისტროს აპარატი, სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, სსიპ – კორნელი კეკელიძის

³⁹ ინსტრუქციის 215-ე მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტები.

⁴⁰ ინფორმაცია ორგანიზაციის აქტივების, ვალდებულებების ანგარიშგება და საცნობარო მუხლებზე არსებული ნაშთების შესახებ.

⁴¹ ინსტრუქციის 215-ე მუხლის მე-10 პუნქტი.

⁴² საცნობარო მუხლების შესაბამისად გამოვლენილი – 7,669 ლარი.

სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ა(ა)იპ – პროფესიული კოლეჯი „ჰორიზონტი“.

მოკლევადიანი მოთხოვნები და ვალდებულებები

სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსში მოთხოვნები ზედმეტად გადახდილი გადასახადების მიხედვით ასახულია 37,253 ლარის ოდენობით, მაშინ როდესაც, გადასახადის გადამხდელის პირადი ბარათის მონაცემების მიხედვით ის შეადგენს – 900,813 ლარს.

ცენტრალური აპარატის მიერ სასამართლო განხილვის პროცესში არსებული 526,344 ლარის დებიტორული დავალიანებები, ნაცვლად პირობითი აქტივებისა,⁴³ აღრიცხულია „სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების“ მუხლში, რითაც გაზრდილია დებიტორული დავალიანებების საბოლოო ნაშთი.

ა(ა)იპ – პროფესიულ კოლეჯში „ჰორიზონტი“ სრულად არ არის ჩამოწერილი საგანმანათლებლო დაწესებულების ახალი შენობის პროექტირებისა და სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით მიმწოდებელთან წინასწარი ანგარიშსწორებით წარმოშობილი დებიტორული დავალიანება. გადარიცხული 988,500 ლარიდან, საანგარიშო წელს მიღება-ჩაბარების აქტის⁴⁴ მიხედვით, შესრულებული სამუშაოს მოცულობა შეადგენს 50,150 ლარს, ხოლო კოლეჯის მიერ მოთხოვნილი შემცირებულია მხოლოდ 10,700 ლარით.

კოლეჯმა ასევე არასწორად განახორციელა ოპერაციის ასახვა „ძირითადი აქტივების“ მუხლში.⁴⁵ კერძოდ, შესრულებული სამუშაოს მიხედვით, წარმოქმნილი აქტივი დაუმთავრებელი მშენებლობის ანგარიშის ნაცვლად, ასახა არასაცხოვრებელი შენობის ანგარიშზე და ისიც მხოლოდ 10,700 ლარის ოდენობით.

სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსში ასახული აქვს 166,042 ლარის საგადასახადო ვალდებულების საბოლოო ნაშთი, რომელიც არ შეესაბამება გადასახადის გადამხდელის პირადი ბარათის მონაცემებს, რომლის შესაბამისად უნივერსიტეტს საგადასახადო ვალდებულება არ ერიცხება.

სსიპ – თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური სახელმწიფო დრამატული თეატრის მიერ 8,986 ლარის ჯამური საგადასახადო ვალდებულების ნაცვლად ბალანსში ასახულია 14,606 ლარის ვალდებულება – 5,620 ლარით მეტი.

კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა

სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ცენტრალური აპარატი, ა(ა)იპ – პროფესიული კოლეჯი „ჰორიზონტი“, სსიპ – თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური სახელმწიფო დრამატული თეატრი.

⁴³ ინსტრუქციის 215-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

⁴⁴ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოები.

⁴⁵ ძირითადის აქტივების მუხლზე უზუსტობის გავლენა ასახულია 1.3 ქვეთავის შემაჯამებელ ნაწილში.

საკონტაქტო ინფორმაცია

გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესზე პასუხისმგებელ პირი	ლალი სეხნიაშვილი - lsekhniashvili@sao.ge
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემა	https://aris.sao.ge/
ვებგვერდი და სოციალური მედია	https://www.sao.ge/ https://www.budgetmonitor.ge/ka http://www.blog.sao.ge/ http://www.sai.ge/main/ https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/ https://www.youtube.com/user/saogeorgia https://www.facebook.com/www.sao.ge
ცხელი ხაზი	(+995 32) 243 81 81
ელექტრონული ფოსტა	sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38